დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების ჯგუფური ოთახის და გარე სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. სივრცე დაყოფილი უნდა იყოს ფუნქციურ ცენტრებად, სადაც ბავშვებს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა ექნებათ. აღნიშნული ცენტრებში რესურსი ფუნქციისა და შინარსის მიხედვით უნდა იყოს განაწილებული. რესურსი უნდა იყოს როგორც ქარხნული, ასევე ბუნებრივი და მეორეული მასალებით დამზადებული. ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს თაროები და მათზე განლაგებული რესურსებიც. დაწესებულებაში ჯგუფურ ოთახებში საგანმანათლებლო რესურსები ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია. რესურსი გადანაწილებულია ცენტრის ფუნქციისა და შინაასის მიხედვით. ავეჯის თაროები და რესურსის შესანახი კონტეინერები არ არის აღნიშნული ვიზუალური მიმანიშნებლებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების გარე სივრცეში არ არის კურიკულუმის შესაბამისი სივრცეები და არც ამ სივრცეების შესაბამისი რესურსი. აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა ითვალისწინებს მთლიანი დაწესებულების ფიზიკურ სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების კურიკულუმის შესაბამისად ორგანიზებასა და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისად ორგანიზება და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომობა. ასევე თაროებისა და რესურსის შესანახი კონტეინერების ვიზუალური მინიშნებებით უზრუნველყოფა.

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „ 1. ბაღის დირექტორის და პერსონალის მიერ ჯგუფურ ოთახებში საგანამათლებლო ავეჯზე და რესურსზე ვიზულუარი მინიშნებების განთავსება. 2. გამომდიანრე იქიდან რომ გარე სივრცის მოწყობა ბაღს შესაბამისობის გეგმაში ცალკე ხარვეზად უწერია 4.3 ამ ხარვეზთან მიმართებებით მოცემული ინდიკატორი შესრულდება გარე სივრცის რესურების შეძენის და დამონტაჟების შემდეგ და მოეწყობა კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. აქტივობის დაწყების სვარაუდო დრო: 2025 ნოემბერი. აქტივობის დასრულების სვარაუდო დრო: 2026 ოქტომბერი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 12 თვე. პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი.“ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახის სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. უნდა იძლეოდეს აქტიური და პასიური, ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშების შესაძლებლობას. ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობას. დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცე დაყოფილია ფუნქციურ ცენტრებად. ეს ცენტრებია: დრამატული, კუბურების, სამაგიდო, ხელოვნების, სენსორული, მეცნიერების, წიგნიერების, მოსასვენებელი სივრცე. დრამატული, კუბურებისა და სენსორული სივრცე იძლევა აქტიურ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას, ხოლო წიგნიერება, სამაგიდო და ხელოვნების ცენტრები პასიურ აქტივობების შესაძლებლობას. აღნიშნული ცენტრები ერთმანეთისგან ზომით განსხვავდება, შესაბამისად ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა მცირე ზომის ცენტრებში მცირე ჯგუფურ

აქტივობებში ჩართვის, ხოლო დიდი ზომის ცენტრებში დიდ ჯგუფურ აქტივობებში ჩართვისა. ასევე მოსასვენებელ სივრცეში შეუძლიათ დასვენება და განმარტოება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა  დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების  მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რომელიც ხელს უწყობს, როგორც კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისა და ღირებულებების, ასევე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მრავალფეროვანი ინფორმაციის თანმიმდევრულად შეგროვება, რაც ბავშვის განვითარებისა და სწავლის პროგრესზე დაკვირვების საშუალებას მოგვცემს. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა ბავშვზე დაკვირვება/შეფასებისთვის თანმიმდევრულად უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვებისთვის, შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით მაგ: ობიექტური დაკვირვების ჩანაწერი, ფოტო, ვიდეო, ხმის ჩანაწერი, ჩეკ ლისტები, რეიტინგული სკალები, მშობელთან ინტერვიუ.....  ამ პროცესს არ უნდა ჰქონდეს ერჯერადი სახე. შეგროვებულ ინფორმაციასა და შეფასებას შორის უნდა  ჩანდეს კავშირი, აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეგროვდეს როგორც ინდივიდუალურად ბავშვზე, ასევე მთლიან ჯგუფზე. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად

უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. სადაც აღნიშნულია (მუხლი 8.): საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს: ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; ბ) მოკლე კითხვარები; გ) ჩექლისტები; დ) სხვა შეფასების ინსტრუმენტები. ამავე წესში აღნიშნულია, რომ ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია და ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ. მუხლი 10. (პუნქტი 3.) გაწერილი აქვს რა ტიპის დოკუმენტებს მოიცავს ბავშვის ინიდივიდუალური პორტფოლიო: „ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს.” ამავე წესს თან ერთვის დანართი N1 - ბავშვის შეფასების ფორმა, სადაც გაწერილია ბავშზე დაკვირვებისა და შეფასების სრული ციკლი. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და აცნობიერებს დაკვირვებისა და შეფასების თანმიმდევრულობის მნიშნელობას. ამავე წესის თანახმად მუხლი 8. პუნქტი 3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და წარმოდგენილია ამ წესის დანართების სახით. თუმცა დაწესებულებას არ აქვს შეფასებისა და დაკვირვების ფორმები დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და არ არის წარმოდგენილი დანართის სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად დაკვირვებისა და შეფასების ფორმების დამტკიცება დირექტორის ბრძანებით და დანართის სახით წარმოდგენა.

რჩევა

...........................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „1. გაერთიანების დირექტორის, მეთოდისტის, გაერთიანების იურისტის მიერ ხარვეზის შესწავლა. 2. დოკუმენტში დანართების სახით ბავშვზე დაკვირვების და შეფასების ფორმების დამატება 3. შეცვლილი დოკუმენტის დამტკიცება დირექტორის მიერ. აქტივობის დაწყების სვარაუდო დრო: 2025 ნოემბერი. აქტივობის დასრულების სვარაუდო დრო: 2025 დეკემბერი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 2 თვე. პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი.“ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, რომელიც ხელს უწყობს, როგორც კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისა და ღირებულებების, ასევე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. წესში აღნიშნულია, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას; ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში; დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს და აცნობიერებს, რომ შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში. ამავე წესს თან ერთვის დანართი N1 - ბავშვის შეფასების ფორმა, სადაც გაწერილია ბავშზე დაკვირვებისა და შეფასების სრული ციკლი.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
რჩევა
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

### 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა/მოდიფიცირებისთვის დაკვირვებისა და შეფასების შედეგების გამოყენებას შემდეგნაირად: ფიზიკური გარემოს მორგება ბავშვის/მთლიანი ჯგუფის საჭიროებაზე; გეგმა/გეგმების შედგენისას ბავშვის/მთლიანი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება; საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო რესურსების მობილიზება; აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის მიერ ეფექტური სტრატეგიების გამოყენება; ზომიერად დაძლევადი გამოწვევების შექმნა.

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. ამ წესის მუხლი 10. -ის შესაბამისად დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება: ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით; დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს; ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს. დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა იცის, თუ როგორ გამოიყენოს შეფასების შედეგები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

## 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობას, დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. ამ წესის მუხლი 8. პუნქტი 7. : „ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი/აღმზრდელ პედაგოგი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახის ჩართულობით."მუხლი 9.( პუნქტი 1. პუნქტი 2.) 1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. 2.ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან განხორციელდება ინდივიდუალურად. დაწესებულებას ამავე წესის მუხლი 10. (პუნქტი 3.) გაწერილი აქვს რა ტიპის დოკუმენტებს უზიარებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს: „ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას და ასევე უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. " დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა იცის, თუ როგორ ჩართოს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი შეფასების პროცესში და როგორ გააცნოს მათ ბავშვის შეფასების შედეგები.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია
..................................................................................................................................................................................................................................
...............................................................................................................................................................................................................................

რჩევა
..................................................................................................................................................................................................................................
...............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..................................................................................................................................................................................................................................
...............................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.
2. დღის განრიგი;
3. ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/მიღება-ჩაბარების აქტები.
4. ბოდბისხევის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
5. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.2. კურიკულუმის განხორციელება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

## 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

**1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა ეფუძნება: “1.საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას. 2.ფიზიკური გარემოს შეფასებას. 3.მშობლების უკუკავშირს. 4.პერსონალის თვითრეფლექსიას,“რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შემდეგი დოკუმენტით: ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება:

ბ45.54251432 თარიღი: 23/05/2025 / ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც მოიცავს ხარისხის სრულ ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასებასა და განვითარებას. მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება. აქვე აღნიშნულია რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით და ინსტრუმენტების გამოყენებით ხდება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასება. ასევე აღნიშნულია რა ფორმით და რომელი საკომუნიკაციო არხებით ხდება მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შეფასებაში. რაც შეეხება კურიკულუმში ცვლილებების შეტანასა და განვითარებას, ეს ნაწილი გაწერილია ამავე წესის მუხლი 5.- ში. საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ასევე გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შემდეგ დოკუმენტში: ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. მუხლი 11. საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება. ამ მუხლის პუნქტი 5. - ში აღნიშნულია, რომ შეფასების გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე შექმნა შეფასების გუნდა და წარმოადგინა მტკიცებულებად შემდეგი დოკუმენტი: „ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება: ბ45.5425143001 თარიღი:23 /05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასებისთვის სამუაშაო ჯგუფის შექმნისა და დამტკიცების შესახებ. .

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

რაც შეეხება შეფასების შედეგების გაანალიზებასა და საჭიროების შემთხვევაში კურიკულუმში ცვლილებების განხორციელებას დაწესებულებამ ამ პროცესების მტკიცებულებად წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტი: ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება: ბ45.54251432 თარიღი: 23/05/2025 / ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც მოიცავს ხარისხის სრულ ციკლს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასებასა და განვითარებას. მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება და მუხლი 5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება. მსგავსი საკითხები ასევე განხილულია შემდეგ დოკუმენტში: ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. მუხლი 11. საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგი/შეფასება და შემდგომი განვითარება. სადაც აღნიშნულია, რომ ანალიზის პროცესში გაკეთებული მიგნებები და გამოწვევები აისახება ანგარიშში, რომელსაც ამზადებს შეფასების გუნდი. ანალიზის შედეგების შესაბამისად, შეიძლება განხორციელდეს როგორც დოკუმენტების ფორმალური ისე შინაარსობრივი ცვლილება. ამავე მუხლის პუნქტი 5. -ში აღნიშნულია, რომ შეფასების გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებამ აღნიშნული ჩანაწერის საფუძველზე შექმნა შეფასების გუნდა და წარმოადგინა მტკიცებულებად შემდეგი დოკუმენტი: “ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება: ბ45.5425143001 თარიღი:23/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დამტკიცების შესახებ. კურიკულუმის შრჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი მიღებულია 23/05/2025. ვიზიტის დროისთვის შეფასების ვადა არ იყო მოსული, შესაბამისად არც ცვლილებები განხორციელებულა.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.
2. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება: ბ45.54251432 თარიღი: 23/05/2025 / ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ,
3. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება: ბ45.5425143001 თარიღი: 23/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში კურიკულუმის შეფასებისთვის სამუაშაო ჯგუფის შექმნისა და დამტკიცების შესახებ.
4. ინტერვიუს შედეგები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება** | | | |
| შესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

#### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

**1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. ბრძანება N: ბ45. 5425153001 თარიღი:02/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, დამტკიცებულ მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია შიდა და გარე სამიზნე აუდიტორია. გარე აუდიტორიაში მოიაზრება, როგორც თემი, ასევე მშობელი /კანონიერი წარმომადგენელი და სხვა. დაწესებულება საკომუნიკაციო სამიზნე აუდიტორიასთან წინასწარ გეგმავს აქტივობებს და მათ დასაგეგმად იყენებს დანართი N1-ით განსაზღვრულ ცხრილს, ხოლო არაგეგმიური აქტივობები ტარდება საჭიროებიდან გამოდინარე და მათი ასახვა ამ ცხრილში არ ხდება. დაწესებულებამ წარმოადგინა ამ წესის შესაბამისად გაწერილი საკომუნიკაციო გეგმა - ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება:ბ45. 54251542 თარიღი:03/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ბოდბისხევის N9 ფილიალის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს სხვადასხვა შინაარსის წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, რაც შეეხება თემთან თანამშრომლობას, აღნიშნულ გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს მხოლოდ შემდეგი აქტივობა: აქტივობის დასახელება:„თემის რესურსის გააქტიურება“ სამიზნე აუდიტორია: „თემის წარმომადგენლები“, აქტივობის შინაარსი: „ბაღის ცხოვრებაში თემის მნიშვნელობა და საჭიროება“ შესრულრბის ვადა: სექტემბერი.“ რაც თავისთავად რესურსის „გააქტიურება“ მოძიების აქტივობაა და არა თემთან თანამშროლობის. ინდიკატორის შინაარსი მოითხოვს მოძიებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაწესებიულებამ წინასწარ დაგეგმოს თემის რომელ წარმომადგენელთან, რა ტიპის აქტივობას განახორციელებს, რა პერიოდულობითა და სიხშირით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საკომუნიკაციო გეგმაში მსგავსი ტიპის აქტივობები არ არის გაწერილი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ საკომუნიკაციო წესის შესაბამისად, თანამშრომლობისთვის წინასწარ გაწეროს აქტივობები, საკომუნოკაციო აუდიტორიის ყველა წარმომადგენელთან, როგორც მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთა, ასევე თემთან. მნიშნელოვანია

აქტივობების დაგეგმვისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს მის მიერ დამტკიცებული ყველა მარეგულირებელი წესის პირობები, მათ შორის შეხვედრების შინაარსი, პერიოდულობა და სიხშირე, არანაკლებ წესში გაწერილი რაოდენობისა.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „1.გაერთიანების დირექტორი და გაერთიანების იურისტის მიერ ხარვეზის შესწავლა. 2. დოკუმენტში კურიკულუმით გათვალსიწინებულ აქტივობებში თემის და მშობლის ჩართულობის საკთხების გაწერა. დამატება 3. შეცვლილი დოკუმენტის დამტკიცება დირექტორის მიერ. აქტივობის დაწყების სვარაუდო დრო: 2025 ნოემბერი. აქტივობის დასრულების სვარაუდო დრო: 2026 თებერვალი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 4 თვე. პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი.“ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N: ბ45. 5425153001 თარიღი:02/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. დაწესებულებამ ამ წესის მიხედვით უნდა განსაზღვროს სამიზნე აუდიტორია; შეარჩიოს საკომუნიკაციო არხები; დაგეგმოს აქტივობები; გადაანაწილოს პასუხისმგებლობები; განსაზღვროს განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმები; განსაზღვროს კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის მექანიზმები. აქვე ჩანაწერია : “მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა 1. საკომუნიკაციო არხების შერჩევის პროცესში ბაგა-ბაღები ხელმძღვანელობს მისი გეოგრაფიული მდებარეობის, თემის სოციალური ჩვევებისა და ბაგა-ბაღების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. 3. საკომუნიკაციო არხების შერჩევისას ბაგა-ბაღები ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) სამიზნე აუდიტორიის საჭიროებები; ბ) რესურსების (მათ შორის ფინანსური) ხელმისაწვდომობა; გ) კომუნიკაციის შინაარსი და სიხშირე; დ) უკუკავშირის მიღების შესაძლებლობა; ე)კონფიდენციალურობის დაცვის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში); ვ) სამიზნე აუდიტორიის კულტურულ და ლინგვისტურ სპეციფიკა; “ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინება თავისთავად ხელს უწყობს

თემისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობას დაწესებულების მიერ დაგეგმილ აქტივობებში. ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ დასეწებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს და აცნობიერებს თემისა და მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის ჩართულობის მნიშვნელობას საგანმანათლებლო პროცესში და იცნობს მათთან საკომუნიკაციო არხებს. თუმცა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები ძირითადად კომუნიკაციის მეთოდებსა და არხებზეა ფოკუსირებული, ხოლო წახალისება ჩართულობის მოტივაციის ამაღლებასა და გრძელვადიან თანამშრომლობას უნდა ემსახურებოდეს. წახალისების მეთოდები აღიარებასა და დაფასებაზე, ერთობლივ პროექტებსა და მოხალისეობაზე, ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც გულისხმობს არამარტო დაწესებულების მხრიდან ინიცირებულ აქტივობებში ჩართულობას, არამედ თემისა და მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის მხრიდან ინიცირებული აქტივობების ხელშეწყობას, როგორც დაწესებულების შიგნით ასევე მის გარეთ.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს წაახალისების მეთოდები, რომლის გამოყენებით წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში და ეს მეთოდები გააცნოს დაწესებულების პერსონალს.

## რჩევა

დაწესებულებას შეუძლია წახალისების მეთოდები გაწეროს ცალკე დოკუმენტად ან საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების წესში შეიტანოს პუნქტის სახით.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „1.გაერთიანების დირექტორი და გაერთიანების იურისტის მიერ ხარვეზის შესწავლა. 2. დოკუმენტში თემის დამშობლის ჩართულობის და წახალისების მიმართულებით საკითხების დამატება 3. შეცვლილი დოკუმენტის დამტკიცება დირექტორის მიერ აქტივობის დაწყების სვარაუდო დრო: 2025 ნოემბერი. აქტივობის დასრულების სვარაუდო დრო: 2026 თებერვალი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 4 თვე. პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული: გაერთიანების დირექტორი.“ აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება:ბ45.5425153001 თარიღი:02/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. აღნიშნულ წესის მუხლი 4. პუნქტი 2. -ში განსაზღვრულია მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან საკომუნიკაციო არხები, როგორიცაა: „ ა) პირისპირ შეხვედრები; ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით; გ) საინფორმაციო დაფები; დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ე) სატელეფონო ზარები; ვ) ელექტრონული ფოსტა; ზ) ბაგა-ბაღების სოციალური მედიის პლატფორმები; თ) სოციალური მედიის დახურული ჯგუფები.” დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ საკომუნიკაციო არხებსა და მეთოდებს.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი:
   ბრძანება N: ბ45. 5425153001 თარიღი:02/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.

2. საკომუნიკაციო გეგმა:
   ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება:ბ45. 54251542 თარიღი:03/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ბოდბისხევის N9 ფილიალის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ.
3. ინტერვიუს შედეგები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

**1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება N: ბ45. 5425153001 თარიღი: 02/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, რომლითაც დამტკიცებულია საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი და ამ წესის დანართი N1 - ის შესაბამისად გაწერილი საკომუნიკაციო გეგმა. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება:ბ45. 54251542 თარიღი:03/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ბოდბისხევის N9 ფილიალის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ. წარმოდგენილი საკომუნიკაციო გეგმა მოიცავს წინასწარ დაგეგმილ აქტივობებს ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მათ შორის ასეთ ჩანაწერს: „ბავშვთა უფლებები, როგორ გავხდეთ პოზიტიური მშობლები" აღნიშნული ინდიკატორი მოითხოვს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ცნობიერების ამაღლებას

არამხოლოდ ბავშვთა უფლებების, არამედ ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით. .
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება როგორც ბავშვთა უფლებების, ასევე ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით.

რჩევა

ბავშვთა უფლებები, ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკა იმდენად ფართო თემებია, რომ სასურველია ისინი კი არ გავაერთიანოდ ერთ შეხვედრაში, არამედ ცალ-ცალკე განვიხილოთ, რაც ამ თემების უკეთ გაშლის საშუალებას მოგცემთ და ცნობიერების ამაღლებაც უფრო ხარისხიანი იქნება. შეიძლება ამ თემების მიმართულებით მცირე ციკლების შემუშავება და აუდიტორიისთვის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიწოდება. მშობელთა ცნობიერების ამღლებაზე ზრუნვის ფარგლებში სხვადასხვა აქიტივობების ორგანიზება მშობელთა ჩართულობით, მშობლებთან პირისპირ შეხვედრების მოწყობა, როგორც საერთო ასევე ინდივიდუალური. ამ ტიპის აქტივობებს არ უნდა ჰქონდეს ერთჯერადი სახე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „1. ბაღის დირექტორის და პერსონალის მიერ საკომუნმიკაციო გეგმის გადახედვა. 2. ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების საკთხებთან დაკავსირებით ღონისძიებების ჩამატება. 3. ჩასწორებული საკომუნიკაციო გეგმის გაერთიანების დირექტორთან წარდგენა. 4. გაერთიანების დირექტორის მიერ საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცება.
აქტივობის დაწყების სვარაუდო დრო: 2025 ნოემბერი. აქტივობის დასრულების სვარაუდო დრო: 2025 დეკემბერი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 2 თვე. პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული: ბაღის დირექტორი" აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესში ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას და ასევე უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან განხორციელდება ინდივიდუალურად. აქვე გაწერილია შეფასების პერიოდულობა, რაც თანხვედრაშია დეკლარირებულ კურიკულუმთან. მუხლი 9. ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა 1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. 2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად. მუხლი 8. პუნქტი 8. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია; პუნქტი 9. ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ; ამავე წესის მუხლი 10. (პუნქტი 3.) გაწერილი აქვს რა ტიპის დოკუმენტებს უზიარებს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს: „ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალმა იცის, თუ როგორ ჩართოს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი შეფასების პროცესში და როგორ გააცნოს მათ ბავშვის შეფასების შედეგები.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადგინდა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები და საგანმანათლებლო პერსონალი აცნობიერებს თემში არსებული რესურსის გამოყენების აუცილებლობას კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. მათ განაცხადეს, რომ აპირებენ კურიკულუმის ფარგლებში გასვლით აქტივობებს ბიბლიოთეკასა და სკოლაში. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება:ბ45. 54251542 თარიღი:03/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ბოდბისხევის N9 ფილიალის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ აღნიშნულ გეგმაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შემდეგი აქტივობა: აქტივობის დასახელება:„თემის რესურსის გააქტიურება“ სამიზნე აუდიტორია: „თემის წარმომადგენლები“, აქტივობის შინაარსი: „ბაღის ცხოვრებაში თემის მნიშვნელობა და საჭიროება“ შესრულრბის ვადა: სექტემბერი.“ რაც თავისთავად რესურსის „გააქტიურება“ მოძიების აქტივობაა და არა თემთან თანამშროლობის.. ასევე წარმოადგინა ბრძანება:ბ45. 5425153001 თარიღი: 02/06/2025 - ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ. სადაც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საკომუნიკაციო შიდა და გარე აუდიტორია და არხები. თუმცა არაფერია ნათქვამი თემში არსებული რესურსის გამოყენებაზე. ზემოთ აღნიშნული პროცესი გახლავთ საგანმანათლებლო/სააღმზრდელო პროცესში კურიკულუმის განხორციელებისთვის დამხმარე, ხელშემწყობი პროცესი. დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სისტემური მიდგომა, ამ მიდგომის გარეშე დაწესებულების აღმზრდელთა მიერ თემში არსებული რესურსების გამოყენება კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას შეიძლება ჩაითვალოს ერჯერად ექსკურსიად.
აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ გაწეროს კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე თემში არსებული რესურსის მოძიებისა და მათთან თანამშრომლობის წესი და მექანიზმები. წესისა და მექანიზმების დაცვით ორმხრივად განსაზღვროს ამ პროცესების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები და გამოიყენოს თემში არსებული რესურსი კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას, ასევე გაწეროს ინდიკატორით მოთხოვნილ ამოცანაზე კონკრეტული აქტივობები.

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის გაწერილი აქვს შემდეგი აქტივობა: „1. ბაღის დირექტორის და პერსონალის მიერ საკომუნიკაციო გეგმის გადახედვა. 2. თემის მონაწილეობით და ჩართულობით აქტივობების/ღონისძიებების მოფიქრება საკომუნიკაციო გეგმაში ჩამატება 3. ჩასწორებული საკომუნიკაციო გეგმის გაერთიანების დირექტორთან წარდგენა. 4. გაერთიანების დირექტორის მიერ საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცება. აქტივობის დაწყების სვარაუდო დრო: 2025 ნოემბერი. აქტივობის დასრულების სვარაუდო დრო: 2025 დეკემბერი. შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა: 2 თვე. პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული: ბაღის დირექტორი" აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

### 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი. ბრძანება N: ბ45. 5425153001 თარიღი:02/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ, ამავე წესში გაწერილია მუხლი 6. განხორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა: 1. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, ბაგა-ბაღი იყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს: ა) კითხვარები; ბ)შენიშვნების/წინადადების ყუთი; გ) ღია შეხვედრები; დ) სოციალური მედიის მონიტორინგი; ე) ანონიმური შეტყობინებები; ვ) კომუნიკაციის კონკრეტული არხით მოსარგებლეთა რაოდენობის მონიტორინგი; აღნიშნული შეფასების მექანიზმით მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგების გათვალისწინებით მოხდება ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.დაწესებულება გადის პირველად ავტორიზაციის პროცესს, აღნიშნული წესი მიღებულია 02/06/2025. ვიზიტის დროისთვის შეფასების ვადა არ იყო მოსული, შესაბამისად არც ცვლილებები განხორციელებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი:
   ბრძანება N: ბ45. 5425153001 თარიღი:02/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებში საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცების შესახებ.
2. საკომუნიკაციო გეგმა:
   ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანება:ბ45. 54251542 თარიღი:03/06/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ბოდბისხევის N9 ფილიალის საკომუნიკაციო გეგმის დამტკიცების შესახებ.
3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი:
   ბრძანება: ბ45. 54251492 თარიღი: 29/05/2025 ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.
4. ინტერვიუს შედეგები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

### 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

**1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში შემავალი სოფელი ბოდბისხევის N9 საბავშვო ბაღი დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ფუნქციონირებას, ხოლო მიმდინარე პროცესებს განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები. საშტატო ნუსხა შედგება 16 შტატიანი თანამშრომლისგან - მენეჯერი-1, აღმზრდელი-3, აღმზრდელის თანაშემწე-3, მუსიკის მასწავლებელი-1, სპეც. პედაგოგი -1, მედდა-1, მზარეული-1, მზარეულის დამხმარე-1, მნე-1, დამლაგებელი-2, დარაჯი-1. დაწესებულებამ წარმოადგინა ორგანოგრამა და თანამშრომელთა სტრუქტურული ჩამონათვალი, პერსონალის პირადი საქმეები, შინაგანაწესი ( ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შინაგანაწესი, ბრძანება N65 01.04.2019) და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი ( ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, დამტკიცების ბრძანება: ბ45. 54251423 22.05.2025). დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ დაწესებულებას პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად არ ჰყავს საკმარისი რაოდენობის პერსონალი, კერძოდ არ არის დაცული საგანმანათლებლო პერსონალის თანაფარდობა, რომელიც დადგენილია "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" მე-13 მუხლში, ასევე, არ არის დაცული დაწესებულების მიერ დამტკიცებულ "ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის" მე-4 მუხლით განსაზღვრული წესი -"აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან", ამასთან დაწესებულებას დარეგულირებული არ აქვს საგანმანათლებლო პერსონალის დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხი. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

---

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

რეკომენდაცია

დაწესებულებამ საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას საქართველოს კანონის "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" მე-13 მუხლით განსაზღვრული წესი. ასევე, პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად უზრუნველყოს აღმზრდელების/აღმზრდელ პედაგოგების თანაფარდობა ჯგუფში "ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის" მე-4 მუხლის შესაბამისად -"აღმზრდელის რაოდენობის თანაფარდობით ბავშვთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან" და დაარეგულიროს დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის დროს სხვა თანამშრომლით ჩანაცვლების საკითხი.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის თორმეტთვიანი გეგმა, კერძოდ "1. გაერთიენების დირექტორის მიერ ვაკანსიის გამოცხადება აღმზრდელ/პედაგოგის პოზიციაზე (სამი აღმზრდელი). 2. შესარჩევი პროცესების განხორციელება/ 3. კარდრის შერჩევა. 4. ხელშეკრულების დადება. 5. შინაგანაწესში იურისტის მიერ დროებითი მოვალების შესრულებაზე პროცედურების გაწერა და დირქტორთან დამტკიცებაზე წარდგენა. 5. დირექტორის მიერ დამტკიცება". წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრუქტურული ორგანოგრამა, რომელიც ასახავს თანამშრომელთა თანამდებობრივ დაქვემდებარებას და ცალკე დოკუმენტის სახით არის წარმოადგენილი საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ ბრძანება (ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვთა მიმართ ძალადობისაგან დაცვის მიზნით რეაგირების ჯგუფის შექმნისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება: ბ45. 54243313 თარიღი:26.11.2024). ინტერვიუზე (გაერთიანების იურისტი, საქმისმწარმოებელი) დადგინდა, რომ თანამშრომელთა ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში, მაგრამ ვინაიდან ელექტრონული საქმისწარმოაბა აქვს გაერთიანებას მატერიალური სახით არ წარმოუდგენია დანიშვნის ბრძანება და შესაბამისად, არც პირად საქმეში ინახება, შესაბამისად ვერ დგინდება თანამშომელთა ფუნქცია-

მოვალეობების გაცნობა. დაწესებულებამ ასევე, წარმოადგინა „სიღნაღის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების დაწესებულების სამსახურებრივი ინსტრუქციები და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ", რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2016 წლის № 15.88251362 ბრძანებით. ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ აპირებენ ცვლილებას. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების არის განსაზღვრული შინაგანაწესში ( ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შინაგანაწესი, ბრძანება N65 01.04.2019), რომლითაც ხელმძღვანელობს დაწესებულება, შინაგანაწესის გაცნობა ხდება ზეპირსიტყვიერად მენეჯერის მიერ, რომელიც არ დასტურდება რაიმე სახის მტკიცებულებით. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტრუქტურული ორგანოგრამის წარმოდგენა, რომელშიც ახსული იქნება თანამშრომელთა თანამდებობრივ დაქვემდებარება იმგვარად, რომ "ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების" საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული იყვეს საკონსულტაციო საბჭო და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე, შეიმუშაოს ერთიანი წესი ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით, რომლის გაცნობა მოხდება დადგენილი წესის შესაბამისად. ვინაიდან დანიშვნის ბრძანება არის ელექტრონული, დაწესებულებამ უზრუნველყოს მატერიალური სახით გაცნობა და გაცნობის ხელმოწერით დადასტურება, რომელიც შეინახება პირად საქმეში.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................
.........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ოთხთვიანი გეგმა, კერძოდ " 1. გაერთიანების დირქტორის და იურისტის მიერ მოხდება შინაგანაწესის გადახედვა და ფუქნცია-მოვალეობების პერსონალსითვის გაცნობის პროცედურების გაწერა. 2. დირქტორის მიერ გამტკიცება 3. დანიშვნის ბრძნებების მატერიალური სახით ამობეჭდვა და პირად საქმეში შენახვა. 4. პერსონალის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტის ხემოწერით დადასტურების უზრუნველყოფა პირად საქმეში შეტანით". წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ადგენს ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის (დამტკიცების ბრძანება: ბ45. 54251423 22.05.2025) მე-17 მუხლით "პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება თანამშრომლის პირად საქმეში". ვიზიტზე შესწავლილ იქნა თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომლის შემადგენელი ნაწილის არის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, CV, პირადობის მოწონის ასლი, ფოტო სურათი, ავტობიოგრაფია, დახასიათება, ჯანმრთელობის ცნობა/ფორმა N100. პირად საქმეში აღინიშნება არათანაზრობა, მათ შორის არ არის კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანება, შესაბამისად ვერ დგინდება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა. ამავე წესში დაწესებულება განსაზღვრავს "დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი, მიუხედავად ნასამართლობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა" დოკუმენტის წარმოდგენის ვალდებულებას, რომელიც არცერთ თანამშრომელს არ აქვს წარმოდგენილი. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ უზრუნველყოს ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის (დამტკიცების ბრძანება: ბ45. 54251423 22.05.2025) მე-17 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა და ასევე, გაითვალისწინოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის თორმეტთვიანი გეგმა, კერძოდ "1. გაერთიანების დირექტორის და ბაღის დირქტორების მიერ პირადი სააქმების მოწესრიგების მიზნით, გამორჩენილი დოკუმენტების დადგენა. გამზადება და პირადი საქმის მოწესრიგება. 2. შინაგანაწესში ნასამართლეობის

ცნობების შესახებ ცვლილების დამატება - პირადი საქმის სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალში 3. ბაღის ყველა პერსონალისთვის ნასამართლეობის ცნობის მოთხოვნა და ცნობის მიღების უზრუნველყოფა". წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დადასტურებული კომპეტენცია არ აქვს ბავშვებთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს და არც სამედიცინო პერსონალს. იგეგმება თანამშრომელთა გადამზადება, რომელიც განსაზღვრულია 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

დაწესებულებამ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს საგანმანათლებლო და სამედიცინო პერსონალისათვის მომზადება/გადამზადების კურსის მიწოდება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის დასადასტურებლად.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ კადრების ცვლილებისას მათ შორის საგანმანათლებლო პერსონალის გამოცხადებულ ვაკანსიებზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში, წინასწარ განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. სხვა შემთხვევაში თავად უზრუნველყოს უმოკლეს ვადაში გადამზადების კურსის მიწოდება. რეკომენდირებულია გადამზადების კურსს ჰქონდეს ყოველწლიური პერმანენტული ხასიათი.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის შვიდთვიანი გეგმა, კერძოდ "1. ტენდერი/გამარტივებული შეყიდვით - ორგანიზაციის მოძიება პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგების ჩასატარებლად. 2. ტრენინგების განხორციელება 3. კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების პირად საქმეში შენახვა". წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (დამტკიცების ბრძანება: ბ45. 54251423 22.05.2025), რომელიც მოიცავს: 1. ადამიანური რესურსების დაგეგმვა, 2. კვალიფიციური კადრების მოზიდვა, 3. პერსონალის შეფასება, 4. პერსონალის განვითარება, 5. დოკუმენტაციის წარმოება და ასევე, პერსონალის მართვის პროცესებს ხელმძღვანელობს შინაგანაწესითაც. ბაღის პერსონალთან ზეპირსიტყვიერად ხდება მენეჯერის მხრიდან განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებების გაცნობა, რასაც ვერ დასტურდება ხელმოწერით და შესაბამისად არ არის პერსონალის პირადი საქმის ნაწილი. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად პერსონალის მართვის პროცესებს უხელმძღვანელოს პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტსა და შინაგანაწესის შესაბამისად. წესებისა თუ განსახორციელებელი/განხორციელებული ცვლილებების გაცნობა მოხდეს წერილობითი დადასტურების ფორმით, რომელიც იქნება პირადი საქმის ნაწილი.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის ოთხთვიანი გეგმა, კერძოდ “1. გაერთიანების დირქტორის და იურისტის მიერ მოხდება შინაგანაწესის გადახედვა და ნებისმიერი სახის ცვლილების პერსონალსითვის გაცნობის პროცედურების გაწერა, ერთიანი სტანდარტის წარმოება. 2. დირქტორის მიერ გამტკიცება”.

წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტისას განხორციელდა პირადი საქმეების შესწავლა და ინტერვიუირება, რომლითაც დადგინდა, რომ დაწესებულებას აღმზრდელებთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს მხოლოდ სამუშაო დროის საკონტაქტო საათებს და არ არის გათვალისწინებული ჯგუფთან არასაკონატქო საათები და მის ფარგლებში განსახორციელებლი აქტივობები. დაწესებულებას აქვს მენეჯერის ოთახი და გამოყოფილი სივრცე თანამშრომლობითი ურთიერთობისათვის. ზემოაღნიშნული პროცესის რეგულირებისათვის წარმოდგენილ იქნა შესაბამისობის გეგმა ერთწლიანი პერიოდულობით. **ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადის პერიოდში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების პრაქტიკების განსაზღვრისათვის იხელმძღვანელოს "პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" (დამტკიცების ბრძანება: ბ45. 54251423 22.05.2025) მუხლი 21-ე - შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტებითა და "საქართველოს შრომის კოდექსის" მე-14 მუხლით.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის, შესაბამისი კადრების მოზიდვის, დანიშვნის, დასაქმების ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის პროცედურები განსაზღვრულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისი მუხლებით. გაერთიანების ხელმძღვანელთან ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ "ვაკანსიის საჯაროდ გამოქვეყნება არ ხდება, ვაკანტური განცხადებას წერს გაერთიანებაში, ხდება კანდიდატების გადარჩევა, გასაუბრება კომისიასთან, კანდიდატის შერჩევა და დანიშვნა გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ. შემდგომ, უკვე დანიშნული კადრი მიდის დაწესებულებაში". დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია და ასევე, არ არის წარმოდგენილი პერსონალის შერჩევის ამსახველი დოკუმენტაცია. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილების მიზნით დაწესებულებამ საქმიანობის წარმართვისას უნდა იხელმძღვანელოს "პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" თავი III "ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესის" შესაბამისი მუხლებით.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის თორმეტთვიანი გეგმა, კერძოდ "1. გაერთიანების დირექტორის მიერ ხარვეზის აღმოფხვრა მოხდება ამ ეტაპზე საჭირო აღმზრდელის პოზიციისთვის ვაკანსიის გამოცხადებისთვის. განთავსდება საჯაროდ და წარიმათება დაწესებულების მარეგულირებელის შესაბამისად". წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვრას. **აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს განსაზღვრული "პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" თავი III-ის მუხლი 18 "ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია" დეტალურად ჩამოყალიბებული თითოეული პროცესის წარმმართველი წესი. ვინაიდან დოკუმენტი

22.05.2025 წელს არის დამტკიცებული, ახალი თანამშრომლი კი ბოლოს თებერვლისს თვეში მიიღეს. მენეჯერთან და ახალ მიღებულ თანამშრომელთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ინტეგრაციის პროცესი წარიმართა ძველი წესის შესაბამისად, მენეჯერმა უზრუნველყო ფუნქცია-მოვალეობების, თანამდებობრივი ინსტრუქციის, სტრუქტურის, კოლეგების, მასთან დაკავშირებული მიზნების, საჭირო რესურსების აღჭურვილობის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესებისა და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ახალი თანამშრომლის მიღებისას იხელმძღვანელოს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” თავი III-ის მე-18 “ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია” განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში განხორციელებული ორდღიანი ვიზიტი და განხორციელებული ინტერვიუები ნათლად გამოკვეთს საბავშვო ბაღში არსებულ თანამშრომლობით კულტურასა და გუნდურ სამუშაო გარემოს. თანამშრომლობითი ურთიერთობები ურთიერთპატივისცემასა და გუნდურობას ეყრდნობა, რაც ზრდის ჩართულობას, მოტივაციასა და ეფექტიან შრომისუნარიანობას. თანამშრომლებთან განხორციელებულ ინტერვიუზე თითოეული ადასტურებს საუკეთესო პრაქტიკების, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების კულტურას. აღსაზრდელების ზრუნვის პროცესში კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებში ჩართულობას, სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, კვების უზრუნველყოფის პროცესში მონაწილეობას და ა.შ. დაწესებულების დირექტორის როლს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

### 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

**1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტის მე-4 თავის მე-19 მუხლი განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს შეფასების პრინციპებსა და საჭიროებათა მოკვლევის მეთოდებს. ინტერვიუირებისას გაერთიანების ხემძღვანელმა და ბაღის მენეჯერმა დაადასტურა, რომ ვინაიდან დოკუმენტი არის ახალი დამტკიცებული პროცესის საქმიანობის განხორციელებისა და საქმიანობის შეფასების შედეგები არ არის ამ ეტაპისთვის ხელმისაწვდომი. საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება საბავშვო ბაღის მენეჯერის მიერ თანამშრომლებთან ზეპირსიტყვიერად, რომელიც თავის მხრივ აცნობს გაერთიანების ხელმძღვანელს მიღებულ ინფორმაციას და შემდგომ გათვალისწინება ხდება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, სფეროების მიხედვით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პერსონალის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლევას ანხორციელებს ზეპირსიტყვიერად, შესაბამისად ანალიზის შედეგები არ არის ხელმისაწვდომი და პერსონალის განვითარების გეგმა არ არის ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი. დაწესებულებამ წარმოადგინა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მესამე მიზანში ინტეგრირებული და განსაზღვრული “კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები”, აქედან გამომდინარე დგინდება შესაბამისი განსახორციელებელი აქტივობები მომავალი 2025-2026 წლის სააღმზრდელო პერიოდის მიმდინარეობისას. პროცესის მარეგულირებელი მექანიზმი განსაზღვრული აქვს “პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის” მუხლი 20-ში - თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ "პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" მე-20 მუხლის ქვეთავებში განმარტებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებით გამოთქმული ინიციატივების დაფიქსირებისა და წახალისების მეთოდები. ინტერვიუს განხორციელებისას თანამშრომლებმა დაადასტურეს აღნიშნული პრაქტიკის არსებობა, სათანადო მტკიცებულებები საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას საბავშვო ბაღს არ წარმოუდგენია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შინაგანაწესი, ბრძანება N65 (01.04.2019)
2. სოფელი ბოდბისხევის N9 საბავშვო ბაღის ორგანოგრამა
3. პერსონალის პირადი საქმე
4. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, დამტკიცების ბრძანება: ბ45. 54251423 22.05.2025
5. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვთა მიმართ ძალადობისაგან დაცვის მიზნით რეაგირების ჯგუფის შექმნისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების გამოვლენასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება: ბ45. 54243313 თარიღი:26.11.2024
6. სოფელი ბოდბისხევის N9 საბავშვო ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
7. ინტერვიუს შედეგები

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას, აღწერილი და იდენტიფიცირებული აქვს განხორციელებული საქმიანობები, რომელიც განისაზღვრება ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალისა და მათი აღმწერების წესის დამტკიცების შესახებ ბრძანებით:ზ45. 54251545 თარიღი:03/06/2025. დოკუმენტი ადგენს მიმდინარე პროცესების ჩამონათვალსა და მათ აღმწერებს, ასევე განსაზღვრავს აღნიშნული პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი: ბ45. 54251545 თარიღი:03/06/2025. დოკუმენტს თანდართული დანართის შესაბამისად ერთვის შევსებული ცხრილი N3 რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების ნიმუში და ცხრილი N4 ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ნიმუში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საბავშვო ბაღმა წარმოადგინა "სიღნაღის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ბრძანება:ბ45. 5425142001 თარიღი:22/05/2025 განცხადების ფორმები და ბავშვის პირადი საქმეები. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: კანონიერებას, თანასწორობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას, გამჭვირვალეობასა და ანგარიშვალდებულებას, თემის/რეგიონის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებას. რეგისტრაციის ვადების შესახებ მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირება უზრუნველყოფილია საბავშვო ბაღში საინფორმაციო დაფაზე ინფორმაციის განთავსებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი და დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პირადის საქმის განუყოფელ ნაწილს. ბავშვის პირადი საქმის წარმოების წესი რეგულირდება "სიღნაღის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება- ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ბრძანება: ბ45. 5425142001 თარიღი:22/05/2025 ქვეთავის შესაბამისი ჩანაწერით, ხოლო პერსონალის პირად საქმეს "პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" 22-ე მუხლის შესაბამისი ჩანაწერი, რომლებიც ითვალისწინებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. პირადი საქმეები შემოწმებისას, დადგინდა რომ არ მოიცავს დადგენილი წესების შესაბამისად ყველა დოკუმენტს და იკვეთება არათანაზრობა. ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების ნაწილი ინახება დაწესებულებაში, ხოლო სრულყოფილად გაერთიანებაში. ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი არის დაწესებულებაში მენეჯერი. **ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის თანამშრომელთა პირადი საქმეებს წარმოებისას დაწესებულებამ უზრუნველყოს, "პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის" 22-ე მუხლის განხორციელება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანამშრომელთა პირადი საქმეები შემადგენლობის შესახებ, კერძოდ: ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი; ბ) რეზიუმე; გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი: დ)

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან; ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები; ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები; თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები); ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი. პირადი საქმეების წარმოება განხორციელდეს დადგენილი წესის შესაბამისად.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | დაწესებულებას არ ჰყავს 0-1 წლამდე ასაკის აღსაზრდელები. დამტკიცებული მენიუ იძლევა დღიური ცვლილების შესაძლებლობას ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით.<br>დაწესებულების მიერ მიწოდებული კვების მენიუს უზრუნველყოფა ხდება შემდეგი ფორმით:<br>ა) სტაციონარული კვებითი უზრუნველყოფა.<br>ჯუგაანის საბავშვო ბაღში საკვები მზადდება ადგილზე სამზარეულოში და შემდეგ ნაწილდება ჯგუფებზე.<br>დაწესებულებას კვების მექანიზმის დოკუმენტში აღწერილი აქვს მხოლოდ ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვების მართვის მექანიზმი და მის კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის საკითხები. დაწესებულება უზრუნველყოფს სამზარეულოს პერსონალის ინფორმირებას მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ დადგენილ ალერგენ პროდუქტებზე, თუმც დაწესებულებას კვების მექანიზმის დოკუმენტში არ აქვს ჩამონათვალი ალერგენების შესახებ და შესაბამისად არც საინფორმაციო დაფაზე და არც სამზარეულოში არ არის კედელზე გამოკრული ინფორმაცია ალერგენების შესახებ, შესაბამისად არ არის ალერგენების ჩამონათვალიც. უნდა აღინიშნოს,რომ დაწესებულებას არ ჰყავს ალერგიული აღსაზრდელი.<br>დაწესებულება პერსპექტიული მენიუსთვის საჭირო საკვებ პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულს შეისყიდის სახელმწიფო შესყიდვის (ტენდერის) გზით;<br>დაწესებულება პერსპექტიული მენიუსთვის საჭირო საკვებ პროდუქტებსა და სასურსათო ნედლეულს შეისყიდის პირდაპირი შესყიდვის გზით მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. გაერთიანების მხრიდან წარმოდგენილი იქნა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები, სადაც აღწერილია კომპანიების-მომწოდებლების მხრიდან პროდუქციის მოწოდების გზები და პროდუქციის მიღებისას კონტროლის შესახებ დოკუმენტები. მედდისა და მზარეულის მიერ თერმომეტრის საშუალებით კონტროლდება მიღებული პროდუქციის ტემპერატურა და ასევე ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები. მედდის მიერ პროდუქტის მიღებისა და შენახვის ინფორმაცია შეტანილია პროდუქტების მიღების-ჩაბარების ჟურნალში. შესაბამისი ტემპერატურის მითითებით. ჩანაწერებს აკლია თარიღი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა.კვებისმექანიზმში დაწესებულებას აღწერილი აქვს,რომ მზა კერძების ხარისხის კონტროლის მიზნით ეყრდნობა 1. ,,სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის #581 დადგენილებას. მზა კერძების ხარისხი მხოლოდ ორგანოლეპტიკურ კონტროლს ექვემდებარება და ორგანოლეპტიკურ კონტროლზე და მზა კერძის გაცემის ტემპერატურაზე პასუხისმგებელია ბაღის მედდა, რაც ზეპირი გამოკითხვის დროს დადასტურდა მედდის მიერ და აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერს კერძის მომზადებისა და გაცემის ტემპერატურის მითითებით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაწერებს არ ერთვის ზოგან თარიღი, უმეტესად პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. ყოველდღიურად ხორციელდება მზა კერძების ნიმუშების აღება, ხოლო შენახვის წესი დარღვეულია. გაერთიანებას კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელ წესში აღწერილი აქვს მზა კერძის ნიმუშების აღებისა და შენახვის შესახებ ინფორმაცია, რომ მზა კერძი მოთავსდეს სუფთა ჭურჭელში და 24 სთ უნდა ინახებოდეს მაცივარში და სწორედ 24-სთ-იანი ვადა და შესაბამისად შენახვის ტემპერატურული რეჟიმა დარღვეული. მზა კერძის ნიმუშები დღის განმავლობაში ნიმუშის აღების დროულობის შესაბამისად არ ინახება მაცივარში, არამედ დღის განმავლობაში მომზადებული ყველა კერძის ნიმუში ერთად დღის ბოლოს. შესაბამისად თითოეულ კერძზე დარღვეულია შენახვის ტემპერატურული რეჟიმიც და შენახვის ვადაც. უნდა აღინიშნოს ასევე რომ დარღვეულია ნიმუშის აღების წესიც. ნიმუშის აღებისას ქილას რომელშიც კერძია მოთავსებული თავს ახურავენ აღებისთანავე, რის შედეგადაც ქილაში კონდესატი წარმოიქმნება, რაც ბაქტერიულად აბინძურებს აღებულ ნიმუშს. ნიმუშის აღებისა და შენახვის შესახებ ინფორმაცია ინტერვიურებისას მოწოდებულ იქნა მზარეულისა და მედდის მიერ,ვინაიდან საბავშვო ბაღში ვიზიტისას არდადეგები იყო გამოცხადებული. გაერთიანებას კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელ წესში მითითებული აქვს, რომ ეყრდნობა სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №581. შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია განახორციელოს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრული სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების გამოკვლევები. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მხრიდან არ ხორციელდება გარკვეული პერიოდულობით მზა კერძების ლაბორატორიული კვლევა.<br>დამზადებული კერძის ხარისხის კონტროლის მიზნით დაწესებულებაში უზრუნველყოფილია კერძის მომზადების პროცესის მონიტორინგი მომზადების წესთან, რეცეპტთან და კარტოთეკით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებაში. ადგილზე ვიზიტის დროს, მზარეულისა და მედდის მიერ დეტალურად იქნა აღწერილი ყველა ის პროცესი, რომელსაც სტანდარტი ითვალისწინებს პროდუქტის დამუშავების, მომზადებისა და სერვირების პროცესში. დაწესებულების კვების მექანიზმში გადმოცემულია საკვები პროდუქტების გადაცდენის რისკის შემცირების მიზნით მწირი ინფორმაცია, დაწესებულება უზრუნველყოფს:<br>ა) გადაცდენის მაღალი რისკის შემცველი საკვების ტექსტურის შეცვლას კანის გაცლას. დაწესებულებას არ აქვს შექმნილი პირველადი სამედიცინო დახმარების დოკუმენტი, სადაც გაწერილი უნდა ჰქონდეს საკვების გადაცდენის შემთხვევაში ის სამედიცინო მეთოდი,რომელსაც გამოიყენებდა საჭიროებისას. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილ იქნა იმ კერძების კარტოთეკები, რომელიც მენიუს შემადგენელი კომპონენტია. კარტოთეკების შედგენისას დაწესებულებამ იხელმძღვანელა წინასწარ დამტკიცებული პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის ცხრილით.<br>დაწესებულებამ წარმოადგინა კერძების ინდ .ბარათები, სადაც აღწერილია მომზადების წესები, რეცეპტურა), კართოთეკაში იკითხება თითოეული კერძის კალორია - ენერგეტიკული ღირებულება, ქიმიური შემადგენლობა (ცილა, ცხიმი, ნახშირწყალი), ასევე კერძის ბრუტო და ნეტო მაჩვენებელი და გასაცემი ულუფის ზომა და ასევე პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს:<br>1. აუცილებელია საინფორმაციო დაფაზე გამოკრული ყოველდღიური მენიუ დადასტურებულ იქნას პასუხისმგებელი პირების ხელმოწერითა და ბეჭდით.<br>2. კვების უსაფრთხოების კონტროლის მიზნით აუცილებელია მზა კერძის ნიმუშები დღის განმავლობაში მზა კერძის გაცემის დროის შესაბამისად იქნას შენახული ქილაში და გაცივებულ იქნას თავდაუხურავად, შემდეგ კი შენახულ იქნას მაცივარში, გაცემის პერიოდულობის დაცვით და არა მთელი დღის ნიმუშები დღის ბოლოს ერთად. რათა ზემოათაღწერილი წესით დაცულ იქნას აღების წესი, შენახვის ტემპერატურა და ხანგრძლივობა.<br>3. აუცილებელია კვების მექანიზმში სრულად იქნეს ინფორმაცია წარმოდგენილი თუ რა რაოდენობის (გრამი) მზა კერძი უნდა იქნეს აღებული ნიმუშისათვის და ასევე მიეთითოს აღნიშნული რაოდენობა აკლდება ბავშვთა რაოდენობისათვის მომზადებულს , თუ ემატება ნიმუშის ოდენობა.<br>4. კვების უსაფრთხოების კონტროლის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით დაწესებულებაში დამზადებულ მზა კერძებს ჩაუტარდეს ლაბორატორიული კვლევა უვნებლობის პარამეტრებზე აკრედიტებულ ლაბორატორიაში, რათა დაწესებულებამ დაადასტუროს ჰიგიენის კარგი პრაქტიკის სწორი ფუნქციონირება და შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.<br>5. აუცილებელია დაწესებულებამ შექმნას პირველადი სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების დოკუმენტი და მასში სრულად ასახოს საკვები პროდუქტების გადაცდენის რისკის შემცირებისა და გადაუდებელი შემთხვევისას განსახორციელებელი შემდეგი ღონისძიებები: გადაცდენის რისკის შემცველი პროდუქტებისათვის ტექსტურის შეცვლა. (დამუშავება, დაქუცმაცება, კანის გაცლა, გახეხვა, მოხარშვა, კურკის ამოღება და სხვა), ხოლო კვების მექანიზში კი სრულყოფილად ასახოს აღნიშნული პუნქტი. ასევე პირველადი დახმარების დოკუმენტში მიეთითოს გადაუდებელი დახმარებისას გამოსაყენებელი მეთოდი. | | დაწესებულებამ დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:<br>**1. დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი ალერგენების სია და შესაბამისი ინფორმაცია არც საინფორმაციო დაფაზე და არც სამზარეულოში. კვების მექანიზმში აღწერილია მხოლოდ ალერგიის ან კვებითი აუტანლობის მართვის ზოგადი მიდგომა, მაგრამ არა ალერგენების იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის პროცედურა.----ა)** გაერთიანების დირექტორის, კვების და ჰიგიენის მონიტორინგის სპეციალისტი და იურისტის მიერ მოხდება კვების მექნიზმის შესწავლა, ხარვეზის გამოსასწორებლად.<br>ბ) მექანიზმში ალერგენების იდენტიფიკაციისა და კომუნიკაციის პროცედურების გაწერა<br>გ) დოკუმენტის ცვლილების დამტკიცება. დ) ალერგენების სიის და შესაბამისი ინფორმაციის ბაღის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.<br>**2. დაწესებულებაში პროდუქტების მიღების-ჩაბარების ჟურნალში ხშირ შემთხვევაში აკლია თარიღი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. მზა კერძების გაცემის ტემპერატურისა და ორგანოლეპტიკური კონტროლის ჩანაწერებში ანალოგიურად ფიქსირდება ხელმოწერისა და თარიღის ნაკლებობა.---**1. ბაღის დირექტორის მიერ ყოველდღიურად შემოწმდება პროდუქტის მიღების-ჩაბარების ჟურნალი რომ უზრუნველყოფილი იყოს თარიღი და პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა. და ასეთივე კონტროლს დაექვემდარება მზა კერძების გაცემის ტემპერატურისა და ორგანოლეპტიკური კონტროლის ჟურნალი.<br>**3. დაწესებულებაში მზა კერძების ნიმუშები არ ინახება რეგულაციით განსაზღვრული ვადით (24 სთ). ნიმუშების შენახვის ტემპერატურული რეჟიმი დარღვეულია – დღის განმავლობაში აღებული ნიმუშები ერთად თავსდება დღის ბოლოს. ნიმუშის აღების პროცედურა დარღვეულია – ქილას თავსახური ახურება აღებისთანავე, რაც იწვევს კონდენსატის წარმოქმნას და ბაქტერიულ დაბინძურებას----**1. დირექტორის და დაწესებულებაში საკვებზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოხდება მზა კერძების ნიმუშების შენახვა რეგულაციით განსაზღვრული ვადით (24 სთ). ნიმუშის აღების პროცედურისას ქილას თავსახური დაეხურება კერძის გაციების შემდეგ. აღნიშნული საკითხები გაკონტროლდება ბაღის დირექტორის მიერ ყოველდღიურად.<br>**4.დაწესებულება არ ახორციელებს მზა კერძების მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხოვნა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №581-ით.------1. ლაბორატორიის მოძიება მზა კერძების მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებისთვის. 2. ლაბრატორიული კვლევების ჩატარება. 3. კვლევის დასკვების მოპოვება.**<br>**5.დაწესებულებაში საკვების გადაცდენის რისკის მართვის არასაკმარისი მართვა ხდება, კერძოდ: კვების მექანიზმში გადაცდენის მაღალი რისკის შემცველი საკვების დამუშავების წესზე მოცემულია მწირი ინფორმაცია, რაც არ უზრუნველყოფს რისკის სათანადო მართვას. ასევე, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პირველადი სამედიცინო დახმარების დოკუმენტი, რაც აუცილებელია კვების პროცესთან დაკავშირებული შესაძლო შემთხვევების ეფექტურად მართვისთვის.---**1. დირექტორის და იურისტის მიერ მოხდება კვების მექანიზმის და პირველადი გადაუდებელი დახმარების პროცესების ამსახველ დოკუმენტში ბავშვების საკვების გადაცდენის შემთხვევაში რეაგირებების პროცესენის გაწერა/ დამტკიცება. 2. ბაღის პერსონალისთვის გაცნობა.<br>**6.დაწესებულებაში მზა კერძის ხარისხის კონტროლი ხორციელდება მხოლოდ ორგანოლეპტიკური მეთოდით, ლაბორატორიული ან ალტერნატიული შემოწმების გარეშე. კვების პროცესის მონიტორინგის ჩანაწერები ნაწილობრივ სრულდება, მაგრამ დოკუმენტურად სრულყოფილი მტკიცებულებები ვერ იძენება.----**1. გაერთაინების სპეციალისტის (კვების და ჰიგიენის მონიგორინგის) მიერ კერძების ხარისხის კონტროლი და მონიტორინგის წარმოება შესაბამისი მტკიცებულებების წაროება შენახვით.<br>**7.დაწესებულებაში კვების მიწოდება ყოველდღიურად ხდება ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინოდ, მაგრამ არ არის დადასტურებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით.----**1. დაწესებულების დირქტორის მიერ ყოველდღიური კონტროლი დღის განრიგზე კვების ნაწილში პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერის უზრუნველყოფა.<br>**8.დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ, სადაც დარღვევები არის ძირითადად რძისა და რძის პროდუქტებსა და კარტოფილში.---**1. გაერთიანების დირექტორის მიერ კვების მენიუს შემდგენელ ნუტრიციოლოგთან ერთად, დარღვეული გრამაჟობის და კალორაჟის გასწორება. 2 გაერთიანების მიერ დაკორექტირებული მენიუსების დამტკიცება.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2-6 თვის პერიოდში შესასრულებლად, ადამიანური რესურსებისა და ფინანსური - გაერთიანების ბიუჯეტის ჩართულობით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის აღმოფხვარს. აღნიშნულიდან გამომდინარე ვცვლი ჩემს წინა შეფასებას და საბოლოო შეფასებაა---ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია. |
| 1.1 | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ■ | □ | □ | □ | | | | |
| 1.1 | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (**ადგილზე დამზადებ**ა/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ■ | □ | □ | □ | | | | |
| 1.1 | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში ქმედების ზუსტი გეგმა) | □ | ■ | □ | □ | | | | |
| 1.1 | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | □ | ■ | □ | □ | | | | |
| 1.1 | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | □ | ■ | □ | □ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ■ | □ | □ | □ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ■ | □ | □ | □ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ■ | □ | □ | □ | | | | |
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ■ | □ | □ | □ | დაწესებულებაში საკვების მიწოდება ყოველდღიურად ხდება ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინოდ, მაგრამ არ არის დადასტურებული პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით.<br>კვების მიწოდების ჯერადობა სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის 9 სთ-მდე ხანგრძლივობიდან გამომდინარე ნაწილდება შემდეგი ჯერადობით: 2 ძირითადი და 2 წახემსება.<br>დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი მენიუს მიხედვით, დღის განმავლობაში კვება გადანაწილებულია სტანდარტის შესაბამისად. | **დაწესებულებას კვების მექანიზმში გაწერილი აქვს პასუხიმგებელ პირთა პოზიციები. კონკრეტული თარიღისათვისკი აუცილებელია მიეთითოს პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერა, ვინაიდან დაწესებულებებში ადგილი აქვს შრომით მიგრაციას და სხვა.** | | |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>**9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)**<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br>**საუზმე ≈20%**<br>**წახემსება ≈10%**<br>**სადილი ≈30%**<br>**შუადღის წახემსება ≈15%**<br>ვახშამი ≈15%<br>საღამოს წახემსება ≈10% | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: **4** ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | ■ | □ | □ | □ | | | | |
| 3 | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა შესაბამისია შემდეგ მოთხოვნებთან (მონაცემები გამოტანილია 9 საათიანი მომსახურების შემთხვევაში, უფრო მეტი/ნაკლები დროით ბავშვის დაწესებულებაში დაყოვნების შემთხვევაში, ექსპერტმა კვების ჯერადობისა და გადანაწილების მიხედვით უნდა გამოიანგარიშოს შესაბამისი პროპორციული მოთხოვნები, ასახოს კითხვარის მე-3 სექციაში და შესაბამისად შეაფასოს) | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ■ | □ | □ | □ | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ, სადაც დარღვევები არის ძირითადად რძისა და რძის პროდუქტებსა და კარტოფილში.<br><br>შემოდგომა-ზამთრის მენიუში:<br>დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:<br>პური-1020 მეტია -20<br>მარცვლეული და ბურღლეული-497 მეტია-197.<br>ხილი-1520 მეტია-220<br>ბოსტნეული-2100.5 მეტია 281.5<br>კარტოფილი-1003 ნაკლებია 197<br>რძე დასალევად 820 ნაკლებია 680<br>რძე და რძის პროდუქტები-1813.5 ნაკლებია 1556.5<br>საქონლის რბილი ხორცი-440 დაცულია<br>ქათმის ფილე _200 დაცულია<br>თევზის ფილე_200 დაცულია | ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს:<br>სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელია აღსაზრდელებს მიეწოდოდ საკვები 4,4 კომპონენტით დაგეგმილი მოთხოვნების შესაბამისად. აუცილებელია4,4 კომპონენტში დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა. | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); | ■ | □ | □ | □ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | პური =1000გ<br>მარცვლეული და ბურღლეული =300გ | ■ | □ | □ | □ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | | | | | მცენარეული ზეთი--102; მეტია 2.<br>ნაღების კარაქი-122; მეტია 2.<br><br>გაზაფხული- ზაფხულის მენიუში:<br>დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:<br>პური-1015 მეტია 15<br>მარცვლეული და ბურღულეული-453 მეტია 153<br>ხილი-1530 მეტია 230<br>ბოსტნეული 2081.5 მეტია 281.5<br>კარტოფილი 1033 ნაკლებია 167<br>რძე დასალევად 820 ნაკლებია 680<br>რძე და რძის პროდუქტები 1848.5 ნაკლებია 1521.5<br>საქონლის რბილი ხორცი 440 დაცულია<br>ქათმის ფილე ----200 დაცულია<br>თევზის ფილე----200 დაცულია<br>მცენარეული ზეთი--102 მეტია 2<br>ნაღების კარაქი-122 მეტია 2 | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | ხილი =1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული =1800გ<br>კარტოფილი =1200გ | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | რძე დასალევად =1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი =3370 მლ. | ☐ | ☒ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | 1.დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით დაცულია შაქრისა და მარილის გამოყენების მაქსიმალური დღიური დოზები.<br><br>2.ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველი პროდუქტები: ყავა, შავი ჩაი.<br>დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები.<br><br>3. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები .<br><br>4. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება გარეული ფრინველის ხორცი. ასევე არ გამოიყენება იხვისა და ბატის კვერცხი.<br><br>5. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კულტივირებული და არაკულტივირებული სოკო.<br><br>6. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი. ბოდბისხევის N9 ფილიალს არ ჰყავს ალერგიული და კვებითი აუტანლობის მქონე აღსაზრდელი.<br><br>7. დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საკვებდანამატები. | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით თავისუფალი შაქრის მოხმარების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 25 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ჯერადობის შესაბამისად | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველ პროდუქტები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ყავა და შავი ჩაი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები (მათ შორის ხილის სასმელების, გაზიანი/უალკოჰოლო სასმელების, აღდგენილი სასმელების (გარდა რძისა), ენერგეტიკული სასმელების) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები (მაგ: ქოლესტეროლის დამწევი ან უჯრედისის მაღალი შემცველობის სურსათი და სხვ.) გარდა იმ შემთხვევისა თუ სპეციალურ საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის მიერ წარმოდგენილია სპეციალისტის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მენიუ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება გარეული ფრინველის ხორცი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება იხვისა და ბატის კვერცხი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კულტივირებული თუ არაკულტივირებული სოკო | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუშიი არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი (გარდა იმ შემთხვევისა თუ კვებითი აუტანლობის მექანიზმში გაწერილია მსგავსი პროცედურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება შემდეგი საკვებდანამატები:<br>ნატრიუმის ბენზოატი (E211)- კონსერვანტი<br>ტარტრაზინი(E102) - საღებავი<br>ქინოლინისებრი ყვითელი (E104) - საღებავი<br>ყვითელი "მზის ჩასვლა" (E110) - საღებავი<br>კარმუაზინი (E122) - საღებავი<br>პონსო ალისფერი 4R (E124) - საღებავი<br>წითელი ალურა AC (E129) - საღებავი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 5 | **კვების მიწოდება და უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | 1. ბოდბისხევის N9 საბავშვო ბაღს აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ჭურჭელი.<br>2. კვების ხანგრძლივობა არის 20-30წთ. კვების პროცესს ზედამხედველობს ძირითად აღმზრდელი და თანაშემწე, საჭიროებისამებრ მედდაც. | | | |
| | დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი საგანმანათლებლო პერსონალის/ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ | ☒ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

კვების დარგში ექსპერტი: /თეა კუჭუხიძე/ 26.11.2025

**4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი**

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): სოფელ ბოდბისხევის N9 საბავშვო ბაღი | ბრძანების N: MES 2 25 0000832890 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) სიღნაღის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოდბისხევი, კახეთის ქუჩა N15 | ვიზიტის თარიღი: ***3.08.2025*** |

**კრიტერიუმი 4.5.1. დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები**

| | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1.1. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესისა და შესაბამისი სანიტარული ოპერაციული პროცედურების პაკეტის დამტკიცების შესახებ - ბრძანება: ბ45. 54251402 თარიღი: 20/05/2025<br>2 მადეზინფიცირებელი საშუალება „დეზოტეკიუნივერსალი“ ხელებისათვის (დეზოტეკი UH) ინსტრუქცია №06/16 (2016 წ)<br>3. სასმელი წყლის ლაბორატორიული გამოცდის ოქმი N170- სამედიცინო ცენტრი „მედი ლუქსი“-ს საგამოცდო ლაბორატორია, თელავი<br>4. დაწესებულების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები და შესრულებული სამუშაოს აღრიცხვის ჟურნალები (ფურ);<br>5. ვიზუალური დათვალიერების შედეგები; 6. სარეცხად გამოყენებული ფხვნილის ეტიკეტი - არაქართულ ენაზე;<br>7. პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუირების შედეგად მიღებული ინფორმაცია |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი** | | | | | | | | |
| | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს და განსაზღვრავს მათთვის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს (წესებისა და მონიტორინგის მექანიზმების ჩათვლით) და წარმოებული საქმიანობის დოკუმენტირების სისტემას (საჭიროების შემთხვევაში)** | | | | | წყალმომარაგება-წყალარინება - ნარჩენი წყლების მართვის კომპონენტში ეზოში არსებული ონკანიდან მოხმარებული წყალი პირდაპირ ეზოში მიედინება და არ არის მიერთებული სასენიზაციო ორმოს. ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა - დაწესებულებას არ აქვს გაწერილი წესი და არ აქვთ ინფორმაცია. სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი - დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესისა და შესაბამისი სანიტარული ოპერაციული პროცედურების პაკეტი, თუმცა დაწესებულების თანამშრომლები არ არიან სათანაადოდ ინფორმირებულები, შემუშავებული სამოქმედო ოპერაციული პროტოკოლები (სოპ) არ აქვთ მისადაგებული კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებაში არსებულ სიტუაციასთან. | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) - ეზოში მდებარე ონკანიდან მოხმარებული წყლის გადინების უზრუნველყოფა სასენიზაციო ორმოსთან. ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა -ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის მართვის გზამკვლევის შემუშავება. ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტურად გაწერა და შესრულება. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესისა და შესაბამისი სანიტარული ოპერაციული პროცედურების პაკეტი-ის სოპებ-ში შემსრულებელების/ პასუხისმგებელი პირების პოზიციის ჩაწერა და მოქმედების წესებში არსებული ინფორმაციის საფუძვლინად გაცნობა, შესწავლა, კომპენტეციების განსაზღვრა, პრაქტიკაში დანერგვა და განხორცელების მონიტორინგი, სათანადო დოკუმენტური დადასტურების უზრუნველყოფა. სოპ-ების დანომვრა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა. | სასურველია, შესაბამისი კადრის/კადრების გადამზადება, რომელიც შეძლებს დასაქმებულებს გააცნოს გააცნოს ყველა ინფორმაცია და წესი, რის მიხედვითაც უნდა იმუშავონ, მათ შორის ასწავლოს სათანადო დოკუმენტების წარმოება, განუმარტოს პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები მათ მოვალეობებთან მიმართებაში, რათა ხელი შეუწყონ სამუშაოს ჯეროვნად განხორციელებს. | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) - დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილ იქნა, რომ: 1. საკითხის დაყენება ბაღების გაერთიანებაში; 2. საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა; 3. მარიტივის შესყიდვების გზით წყლის მილების და ყველა საჭირო მასალის შეძენა. 4. მუშების დაქირავება და მოხმარენბული წყლის მილების სასენიზაციო ორმოსთან მიერთება. აღნიშნულ ინდიკატორის შესრულების თარიღად განსაზღვრულ იქნა 2026 წლის ივნისი და ინდიკატორის მოთხოვნა შეიცვალა მეტწილად შესაბამისობით. ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა -დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილ იქნა, რომ: 1. გაერთიანების დირექტორის, ჰიგიენის სპეციალისტის და იურისტის მიერ ეპიდჩვენების პროტოკოლის გაწერა. 2. დირექტორის მიერ დამტკიცება. აღნიშნულ ინდიკატორის შესრულების თარიღად განსაზღვრულ იქნა 2025 წლის დეკემბერი და ინდიკატორის მოთხოვნა შეიცვალა მეტწილად შესაბამისობით. სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი - დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილ იქნა, რომ: 1. ბაღის დირექტორის და ჰიგიენის სპეციალისტი მიერ ყოველთვიური შეხვედრების დანიშვნა და მონიტორინგი ბაღის პერსონალის მიერ სოპების გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ ინდიკატორის შესრულების თარიღად განსაზღვრულ იქნა 2025 წლის დეკემბერი და ინდიკატორის მოთხოვნა შეიცვალა მეტწილად შესაბამისობით. |
| | წყალმომარაგებისა და წყალარინების უზრუნველყოფა (სასმელი ან/და ტექნიკური წყლით წყალმომარაგება, წყალარინება, ნარჩენი წყლების მართვა) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა (შენობის შიდა სათავსები და გარე სივრცე, ინვენტარი, მატერიალური რესურსი და სხვ.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დასუფთავება და ნარჩენების მართვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საჰაერო-სითბური რეჟიმის მართვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ეპიდჩვენების ან ეპიდსაშიში სიტუაციის დროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სამსახურის ინფორმირება და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ) დამტკიცებული შაბლონი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 2 | **ზოგადი მოთხოვნები დაწესებულების სათავსების მოწყობისადმი** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას - დაწესებულებაში არსებული იატაკი დაზიანებულია, არ ექვემდებარება სათანადოდ რეცხვა-დეზინფეაქციას. სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე- სანიტარული კვანძების კედლები რეცხვა-დეზინფექციისადი დაქვემდებარებული მასალითაა მოპირკეთებული კანონმდებლობის შესაბამისად (1,6 მ), დარბაზის კედლები არ ექვემდებარება სველი წესით დამუშავებას. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული კრიტერიუმის შესარულება დაგეგმილი აქვს 12 თვეში. სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც - იატაკის ფილები არის პრიალა და სველი ზედაპირი მოცურების საშიშროებას ჰქმნის. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული კრიტერიუმის შესარულება დაგეგმილი აქვს 12 თვეში. დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები - ფანჯრები არის აღჭურვილი მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეებით, მაგრამ ზოგგან დაზიანებულია. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული კრიტერიუმის შესარულება დაგეგმილი აქვს 12 თვეში | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას - შენობის იატაკის ცვლილება რეცხვა-დეზინფექციას დაქვემდებარებადი მასალით, გათბობის სისტემის მილების შეფუთვა შესაბამისი პლინტუსებით. სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე- სანიტარული კვანძების კედლები რეცხვა - დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების სათანადოდ შესრულება, მითითებული ვადის დაცვით. სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც - სანიტარული კვანძის/კვანძების იატაკის მოცურების საწინააღმდეგო მასალით მოპირკეთება, შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადის დაცვით. დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები - შენობის ფანჯრების სრულყოფილად უზრუნველყოფა სათანადო ზომის და ხარისხის მწერებისაგან დამცავი ბადეებით, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ვადის დაცვით. | სასურველია დაწესებულებამ კედლების და ჭერის შეღებვა განახორციელოს რეცხვა-დეზინფექციისადმე მედეგი საღებავებით, რაც კედელზე სხვადასხვა აქტოვობების შედეგად კედელზე გაკრული მასალის ჩამოხსნის შემდგომ სრულყოფილად გაწმენდას და მტვრის დაგროვების პრევენციის წინაპირობაა. რეკომენდებული ცვლილებების/სამუშაოს შემრულებლი პირები/ორგანიზაციები მუდმივად გაკონტროლდეს სათანადო კომპენტენციის მქონე პირის მიერ და ყოველი დაგეგმილი თუ შესრულებული ქმედება შემოწმდეს ინდიკატორთან შესაბამისობასთან მიმართებით. | ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის იატაკი არის გლუვი, ნაპრალების გარეშე და ექვემდებარება სველი წესით რეცხვას - დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილ იქნა, რომ: 1. საკითხის დაყენება ბაღების გაერთიანებაში და იდენტიფიცირება რომელ ოთახში არარის ვენტილაცია. 2. საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა; 3. ტენდერის გზით იატაკის დემონტაჟი და მონტაჟი. აღნიშნულ ინდიკატორის შესრულების თარიღად განსაზღვრულ იქნა 2027 წლის ივნისი და ინდიკატორის მოთხოვნა შეიცვალა ნაწილობრივი შესაბამისობით. |
| | სანიტარული კვანძის სათავსების, დარბაზის და სამრეცხაოს/საუთოებლის (არსებობის შემთხვევაში) კედლების მოპირკეთება ექვემდებარება სველი წესით დამუშავებასა და დეზინფექციას არანაკლებ 1.5 მ სიმაღლემდე | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძის და სამრეცხაოს (არსებობის შემთხვევაში) იატაკის საფარი მოპირკეთებულია კერამიკული ან მოზაიკური ფილებით, რომელიც ინარჩუნებს მოცურების საწინააღმდეგო თვისებას სველ მდგომარეობაშიც | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შენობის სათავსებში მწერების შეღწევის თავიდან ასაცილებლად გამოყენებულია მწერების შეღწევის საწინააღმდეგო ბადეები | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| 3 | **ზოგადი მოთხოვნები განათებისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას - არსებული განათება ვერ უზრუნველყოფს კრიტერიუმის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას - დაწესებულებამ უზრუნველყოს არამსხვრევადი ნათურების გამოყენება, ელექტრო გაყვანილობის მონტაჟი სათანადო კომპენტენციის მქონე | | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას - დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილ იქნა, რომ: 1. საკითხის დაყენება ბაღების გაერთიანებაში; 2. |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების ძირითად სივრცეებს, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი, ასევე საძინებელ ოთახებს და დახურულ სივრცეს სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზს აქვს ბუნებრივი განათება | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) - შენობის ფანჯრების ნაწილია უზრუნველყოფილი მზისგანდამცავი ფარდა-ჟალუზები (საძინებლის სივრცე). | გარეთ განთავსდება, სათანადოდ იზოლირება წყლით და სადეზინფექციო სითხისადმი მედეგი არაკუთხოვანი (მომრგვალებული) ზედაპირით/ზედაპირებით. განათების შესაბამისობის დასაგეგმად გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის დადგენილება №341 (2022 წლის 1 ივლისი) - სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე - მუხლი 16. ბუნებრივი და ხელოვნური განათება არსებული მოთხოვნები. ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) - უზრუნველჰყოს ფანჯრების სათანადო ზომის, წმენდა-დეზინფექციისადმი მედეგი ფარდა-ჟალუზებით აღჭურვა. | | ხელოვნური განათების საშუალებების შეძენა და დანაკლისის შევსება დამონტაჟება აღნიშნულ ინდიკატორის შესრულების თარიღად განსაზღვრულ იქნა 2026 წლის აპრილი და ინდიკატორის მოთხოვნა შეიცვალა მეტწილად შესაბამისობით. ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) - დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილ იქნა, რომ: 1. საკითხის დაყენება ბაღების გაერთიანებაში; 2. საბავშვო ბაღების გაერთიანების ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა; 3. ტენდერის გამოცხადება მზისგან დამცავი ჟალუზების შესაძენად. 4. ჟალუზების დამონტაჟება. აღნიშნულ ინდიკატორის შესრულების თარიღად განსაზღვრულ იქნა 2026 წლის ოქტომბერი და ინდიკატორის მოთხოვნა შეიცვალა მეტწილად შესაბამისობით. |
| | ხელოვნური განათების წყარო უზრუნველყოფს მთელი შენობის საკმარის და თანაბარ განათებას | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის, საძინებელი ოთახის, სამზარეულოს ფანჯრები აღჭურვილია მზისგან დამცავი საშუალებებით (ფარდები/ჟალუზები ან/და სხვა საშუალება) | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრის რაფებზე არ დგას ოთახის მცენარეები ან/და მცენარის ქოთნები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 4 | **ზოგადი მოთხოვნები წყალმომარაგებისა და წყალანირებისადმი** | | | | | | | | |
